აქა მშვიდობა

ევროკავშირი სახელმწიფოების გაერთიანებაა, რომელიც 70 წელზე მეტია უზრუნველყოფს მშვიდობას ევროპის კონტინენტზე

ივლისი, 2025

ჯანდაცვა

უსაფრთხო მედიკამენტები ხელმისაწვდომ ფასად – რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება

გვერდი 2-3

მიგრაცია

ანტიემიგრაციული გაანწყობების მიზეზები და შედეგები ევროპაში

გვერდი 5-7



სიღარიბე

სიღარიბის პრობლემა და მასთან ბრძოლა ევროკავშირსა და საქართველოში

გვერდი 4-5

განსახლება

საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის პრობლემები ევროკავშირსა და საქართველოში

გვერდი 7-8

მშვიდობის საზოგადოება

PEACE SOCIETY

უსაფრთხო მედიკამენტები ხელმისაწვდომ ფასად – რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება

მედიკამენტები უბრალოდ საქონელი არ არის - ისინი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. მედიკამენტების მაღალი ფასი და ხარისხის კონტროლის სისუსტე საქართველოს მოსახლეობას სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ხშირია მედიკამენტებზე ფასების არარეგულირებული ზრდა, არათანაბარი წვდომა და დაბალი ხარისხი.

ევროკავშირთან დაახლოების პროცესში სულ უფრო აქტუალური ხდება კითხვა:
როგორ არის მოწყობილი ფარმაცევტული სისტემა ევროკავშირში და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში?

როგორ ფუნქციონირებს ფარმაცევტული ბაზარი ევროკავშირში?

ევროკავშირის ფარმაცევტული ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რეგულირებადი და ხარისხზე ორიენტირებული სისტემაა. იგი სამი ძირითადი პრინციპით იმართება:

ხარისხის მკაცრი კონტროლი და უსაფრთხოება

ევროკავშირის მასშტაბით ყველა მედიკამენტი ექვემდებარება ევროპის მედიკამენტების სააგენტოს რეგულაციებს:

- ✓ თითოეული პრეპარატი გადის **სრულყოფილ კლინიკურ ცდებს**, სანამ ბაზარზე დაიშვება;
- ✓ წარმოება რეგულირდება **კარგი საწარმოო პრაქტიკის (GMP)** სტანდარტებით;
- ✓ მედიკამენტების **მუდმივი მონიტორინგი** მიმდინარეობს მათი ბაზარზე დაშვების შემდეგაც.

! ასეთი კონტროლის შედეგად, **ევროკავშირში პრაქტიკულად შეუძლებელია ყალბი ან საფრთხის შემცველი მედიკამენტების გავრცელება.**

ერთობლივი შესყიდვები და ფასების გამჭვირვალობა

ევროკავშირის ქვეყნები აქტიურად თანამშრომლობენ მედიკამენტების (განსაკუთრებით ძვირადღირებული, მაგ., კიბოს სამკურნალო საშუალებების) ერთობლივად შესაძენად. ამისათვის ისინი ერთობლივად აწარმოებენ მოლაპარაკებებს მწარმოებლებთან ფასების თაობაზე, რაც იწვევს:

- ✓ **დაბალ ფასებს**, რადგან კოლექტიური მოლაპარაკებების გზით, მსხვილი შესყიდვით ხდება ფასის დაწევა;
- ✓ **ფასების გამჭვირვალობას** - წევრი სახელმწიფოები მწარმოებლებისგან ითხოვენ არგუმენტირებას პრეპარატის ფასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას ფასების ფორმირების პროცესში. მისი მიზანია მედიკამენტზე უსამართლო ფასდადების შემცირება და სამართლიანი წვდომის უზრუნველყოფა.

მედიკამენტების ფასების რეგულირების მექანიზმები ევროკავშირში

- ✓ **გარე რეფერენტული ფასები** - მისი მიზანია მედიკამენტების გაძვირების თავიდან აცილება. ქვეყანა მედიკამენტის ფასს ადგენს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში იმავე პროდუქტის ფასების მიხედვით. მაგალითად, ბულგარეთს შეუძლია მედიკამენტის ფასი დაადგინოს რუმინეთში, უნგრეთსა და საბერძნეთში მისი ღირებულების გათვალისწინებით.
- ✓ **შიდა რეფერენტული ფასები** - მედიკამენტები, რომლებიც ერთი და იგივე დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება, ერთად ჯგუფდება. სახელმწიფო ჯგუფში შესული ყველაზე იაფი მედიკამენტის (ჯენერიკის) ფასს ანაზღაურებს. თუ პაციენტი ირჩევს უფრო ძვირადღირებულ ვარიანტს, მან უნდა გადაიხადოს სხვაობა. სახელმწიფოს მიზანია ჯენერიკების გამოყენების წახალისება.
- ✓ **ფასების რეგულირება და მოლაპარაკებები მწარმოებლებთან** - მედიკამენტის ფასის დასადგენად სახელმწიფო პირდაპირ აწარმოებს მოლაპარაკებას ფარმაცევტულ კომპანიებთან. ეს განსაკუთრებით ეხება ახალ ინოვაციურ ან ძვირადღირებულ პრეპარატებს (მაგ. ონკოლოგიურ მედიკამენტებს). ფასდაკლება მოლაპარაკებების შედეგად მიიღწევა.
- ✓ **ჯენერიკების წახალისება** - უპირატესობა ენიჭება **ჯენერიკული მედიკამენტების** გამოყენებას, რომლებიც ისეთივე ეფექტურია, როგორც ბრენდირებული მედიკამენტები, მაგრამ გაცილებით იაფია. აფთიაქებს შეუძლიათ ძვირადღირებული მედიკამენტის ჩანაცვლება იაფი ჯენერიკით. ხდება ექიმებისა და პაციენტების წახალისება, გამოიყენონ სანდო, იაფი ალტერნატივები (ჯენერიკები). მისი მიზანია ფასების შემცირება და კონკურენციის ზრდა.
- ✓ **აფთიაქის ფლობის რეგულირებით ინტერესთა კონფლიქტის დაცვა** - ევროკავშირის ბევრ ქვეყნებში მედიკამენტების იმპორტიორებს, დისტრიბუტორებს და მწარმოებლებს ეკრძალებათ აფთიაქების ფლობა და პირდაპირი მონაწილეობა საცალო გაყიდვაში, რათა არ მოხდეს ბაზრის ვერტიკალური ინტეგრაცია და ინტერესთა კონფლიქტი (მაგ., გერმანიაში, საფრანგეთში). ზოგ ქვეყანაში საბითუმო და საცალო ფუნქციები ერთმანეთისგან განცალკევებულია, რათა თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი (ნიდერლანდებში).

თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისთვის

მედიკამენტებზე წვდომა ადამიანის ძირითად უფლებადაა მიჩნეული. ამისათვის:

- ✓ ქვეყნების უმეტესობაში **სახელმწიფო დაზღვევა** მთლიანად ან მაღალი პროცენტული მონაწილეობით **ანაზღაურებს აუცილებელი მედიკამენტების** ღირებულებას. **განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაბალშემოსავლიან მოსახლეობას.**

როგორია ფარმაცევტული რეალობა საქართველოში?

საქართველოში, მიუხედავად გარკვეული რეფორმებისა, ფარმაცევტული ბაზარი კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა:

- ✗ **უმეტესი მედიკამენტების ფასი არ რეგულირდება** - სააფთიაქო ქსელები ფასებს თვითნებურად ადგენენ;
- ✗ როცა ერთი კომპანია ერთდროულად ფლობს სააფთიაქო ქსელს, საავადმყოფოსა და სადაზღვევო კომპანიას, იქმნება ინტერესთა კონფლიქტი. ვერტიკალური ინტეგრაცია ხელს უწყობს ფასების მანიპულირებას, მოჩვენებით კონკურენციას და პაციენტებისთვის არასაჭირო მედიკამენტების შეთავაზებას საკუთარი სისტემის ფარგლებში.
- ✗ ბაზარზე ხშირად ვხვდებით **უხარისხო ან საეჭვო წარმომავლობის პრეპარატებს**;
- ✗ არ არსებობს **ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემა**;
- ✗ **ჯენერიკების მოხმარება დაბალია**, მომხმარებელი უპირატესობას ხშირად რეკლამირებულ ბრენდებს ანიჭებს;
- ✗ ჯანდაცვის პროგრამები **არ ფარავს ყველა საჭირო მედიკამენტს**, რაც მოსახლეობის დიდ ნაწილს აიძულებს, მკურნალობის ღირებულება საკუთარი ჯიბიდან დაფაროს.

შედეგად, ბევრი ადამიანი მკურნალობაზე უარს ამბობს, რადგან ფასები ხელმისაწვდომი არაა.

ევროკავშირი = ჯანსაღი საზოგადოება და ეროვნული უსაფრთხოება

რუსეთის ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი მძლავრი იარაღია **დეზინფორმაცია,** მათ შორის, იმის შესახებ, თითქოს ევროკავშირი საქართველოს „შეუზღუდავს“ ადგილობრივ წარმოებას ან „გაუძვირებს“ წამლებს.

სინამდვილეში:

- ✓ ევროკავშირის წევრობა საქართველოს აძლევს შესაძლებლობას, **აწარმოოს კონკურენტუნარიანი, ხარისხიანი მედიკამენტები და უფრო ფართო ბაზარზე გაიტანოს ისინი.**
- ✓ ადგილობრივ მწარმოებლებს მოუწევთ ევროკავშირის სტანდარტების დაკმაყოფილება, რაც გაზრდის მათ სანდოობას, ხარისხს და გაუხსნის საერთაშორისო ბაზარზე წვდომას;
- ✓ მთავარია: **პაციენტი იქნება დაცული მკაცრი მარეგულირებელი წესებით და გამჭვირვალე სისტემებით და არა დაუცველი, როგორც დღეს**.

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა იწყება **ინფორმირებულობით** - როცა მოსახლეობამ იცის, თუ როგორ იცავს ევროკავშირის ღირებულებები მოქალაქეებს - არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, მაგალითად, ხელმისაწვდომ და უსაფრთხო მედიკამენტებზე წვდომაში.

რა შეიძლება შეიცვალოს ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ?

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში ფარმაცევტულ სფეროში ბევრი პოზიტიური ცვლილებაა მოსალოდნელი:

ფასების შემცირება კონკურენციისა და რეგულაციის გზით

- ✓ ევროკავშირის მსგავსად, **ჯენერიკული მედიკამენტების პოლიტიკის დანერგვა** მოშლის ბრენდირებული მედიკამენტების მწარმოებლების მონოპოლიას და შეამცირებს ფასებს.
- ✓ **სახელმწიფო შესყიდვების უკეთესი სისტემები** (მათ შორის, ევროკავშირის სახელმწიფოებთან ერთობლივი შესყიდვები) ხელს შეუწყობს ხარჯების დაზოგვას, განსაკუთრებით ძვირადღირებული მედიკამენტებისთვის.
- ✓ შესაძლებელი გახდება **იმპორტიორების მხრიდან აფთიაქის ფლობაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესება**, რათა დაცული იქნას ბაზრის კონკურენტუნარიანობა და სამედიცინო ეთიკა;

შედეგი: მედიკამენტები გახდება უფრო ხელმისაწვდომი.

უსაფრთხოებისა და ხარისხის გაზრდა

- ✓ **ევროპის მედიკამენტების სააგენტოს სტანდარტების დანერგვა** უზრუნველყოფს მხოლოდ ხარისხიანი და ეფექტური პრეპარატების დაშვებას ბაზარზე;
- ✓ **ყალბი და საეჭვო მედიკამენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება**.

შედეგი: მედიკამენტების ხარისხისადმი მოსახლეობის უფრო მაღალი ნდობა.

ყველასთვის სამართლიანი ხელმისაწვდომობა

- ✓ ევროკავშირის წევრობა მოითხოვს, რომ **სახელმწიფო დაზღვევამ ფართოდ დაფაროს აუცილებელი მედიკამენტები**, განსაკუთრებით ხანდაზმული, ქრონიკული და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის.

შედეგი: არცერთი პაციენტი არ დარჩება მკურნალობის გარეშე მხოლოდ იმიტომ, რომ ფული არ აქვს.

დასკვნა:

ჯანმრთელი მომავალი — ჩვენი არჩევანია.

ევროკავშირში გაწევრიანება მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი არ არის — ეს **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რევოლუციაა**.

ევროპულ სტანდარტებზე მორგებული ფარმაცევტული ბაზარი ნიშნავს ყველა ქართველისთვის:

- ✓ უსაფრთხო და ხარისხიან წამლებს
- ✓ ფასების მკვეთრ შემცირებას
- ✓ და სამკურნალო საშუალებებზე თანაბარ წვდომას.

ამ გზას სჭირდება დრო და მონდომება, თუმცა, ევროკავშირისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი **ჩვენი ოჯახის, ჩვენი ბავშვებისა და მთელი საზოგადოებისათვის** უფრო ჯანსაღი და ღირსეული ცხოვრებისკენ გადადგმული ნაბიჯია.

მოდით, ვიყოთ ინფორმირებულები. მოდით, ვიყოთ მზად. ერთად ავირჩიოთ ევროპული მომავალი.

თეიგიზ ვერულავა
მედიცინის დოქტორი,

სიღარიბის პრობლემა და მასთან ბრძოლა ევროკავშირსა და საქართველოში

სიღარიბე გლობალური პრობლემაა, რომელიც ძირს უთხრის სოციალურ ერთიანობას, ეკონომიკურ განვითარებას და მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ადამიანის ცხოვრებას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. შესაბამისად, სიღარიბის აღმოფხვრა როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განზომილებას წარმოადგენს. გამონაკლისი არც საქართველოა, რომელიც სიღარიბესთან დაკავშირებულ პრობლემებს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან ებრძვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლების დინამიკა იკლებს, ამ ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეების ფარდობითი წილი სრულ მოსახლეობასთან შედარებით ჯერ ისევ მაღალია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წელს 9.4% შეადგინა. ამ კუთხით გასათვალისწინებელია დისბალანსი სასოფლო და საქალაქო დასახლებებს შორის — სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის 7.8% ხვდება, როცა აღნიშნული მახასიათებელი სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის 11.9%-ს შეადგენს.

2024 წელი, საქართველო მოქალაქეების 9.4% აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმაა

აღსანიშნავია უთანასწორობა ასაკობრივ ჭრილშიც. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ აბსოლუტურ სიღარიბეს ყველაზე მეტად 18 წლამდე ასაკის მოქალაქეები განიცდიან, რომელთა 12.1% ამ ზღვარს მიღმაა. ეს ყოველივე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მიგრაციის მაჩვენებლებზეც. უმეტესწილად, უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნისა და ფინანსური პრობლემებისათვის თავის დაღწევის მიზნით, საზღვარგარეთ სამუშაოდ ყოველწლიურად ათასობით პიროვნება მიემგზავრება. 2020 წლის მონაცემებით, უცხოეთში ემიგრირებული ქართველების რაოდენობა, დაახლოებით, 861 000 ადამიანს შეადგენდა. შესაძლოა, ამ რიცხვმა მილიონს უკვე მიაღწია, რადგან მხოლოდ 2023 წელს ქვეყანა 163 500-მდე მოქალაქემ დატოვა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სიღარიბე ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურობასთან მჭიდროდ გადაჯაჭვული კომპონენტია, რაც კიდევ უფრო ზრდის ევროინტეგრაციის მნიშვნელობას: ევროკავშირში გაწევრება სიღარიბის უმოკლეს ვადაში შემცირების საუკეთესო შანსია, რასაც სხვა ქვეყნების, მათ შორის, პოსტ-საბჭოთა და პოსტ-სოციალისტური სახელმწიფოების ემპირიული გამოცდილებაც გვიჩვენებს.

ადრეული 1990-იანი წლებიდან, ევროკავშირი ძირითადად ეკონომიკური საზოგადოებიდან სოციალურ-პოლიტიკურ კავშირად გარდაიქმნა, რომლის მიზნებს შორისაც წამყვანი ადგილი საზოგადოებრივმა ჩართულობამ და სიღარიბის აღმოფხვრამ დაიკავა. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლამ, ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებამ და ევროპულ სივრცეში პოსტ-საბჭოთა ეკონომიკების ინტეგრაციამ დღის წესრიგში სიღარიბესთან ბრძოლის ახლებური მიდგომების შემოღების აუცილებლობა დააყენა. გასული 30 წლის განმავლობაში, ევროკავშირში შეიქმნა საკანონმდებლო ჩარჩოები, დაფინანსების ინსტრუმენტები და კოორდინაციის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც წევრ ქვეყანათა უმრავლესობაში ცხოვრების სტანდარტები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ხედვებში სიღარიბე მხოლოდ საარსებო საჭიროებების დაკმაყოფილებას არ უკავშირდება, არამედ მის საზოგადოებრივ განზომილებასაც მოიაზრებს — სიღარიბე მრავალგანზომილებიანი და ფარდობითი ცნებაა და ერთგვაროვანი მიდგომა მისი შეფასებისას ეფექტიანი არ არის. სწორედ ამიტომ, ორგანიზაციის მთავარი სტატისტიკური ორგანო, ევროსტატი, სიღარიბის მაჩვენებელს ტრადიციული მეთოდებით არ აითვლის და ერიდება სიტყვა „აბსოლუტურის“ გამოყენებას. ნაცვლად ამისა, ფინანსურად გაჭირვებული სოციალური ფენის კლასიფიკაციისთვის გამოიყენება ტერმინი „სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის რისკის პირას მყოფი“ (AROPE).

სიღარიბესთან ევროპულ ბრძოლაში წყალგამყოფი მომენტი 1997 წელს დადგა ამსტერდამის ხელშეკრულების დადებასთან ერთად, რომელმაც სოციალური ჩართულობის კოორდინირებული პოლიტიკების აუცილებლობა მთელი კავშირის მასშტაბით ფორმალურად აღიარა. 2000 წელს მიღებულმა ლისაბონის სტრატეგიამ კოორდინაციის ღია მეთოდი (OMC) დაამკვიდრა, რომლითაც წევრ ქვეყნებს საშუალება მიეცათ, დაეწესებინათ ერთობლივი მიზნები, გაეზიარებინათ საუკეთესო პრაქტიკები და პროგრესი ეფექტიანად შეეფასებინათ. 2003 წელს ეს პროცესი კიდევ უფრო გაამდიდრა „შემოსავლისა და საცხოვრებელი პირობების შესახებ ევროკავშირის სტატისტიკის“ (EU-SILC) პროგრამის გაშვებამ.

ადრეულ 2000-იან წლებში ევროკავშირის 100 მილიონი მოქალაქე სიღარიბის ან სოციალური გარიყულობის საფრთხის წინაშე იდგა. 2024 წლისთვის ეს რიცხვი 93.3 მილიონამდე შემცირდა — დაბნეულობის თავიდან ასარიდებლად, ეს კლება უფრო შთამბეჭდავი იქნება, თუ დავაზუსტებთ, რომ 2000 წელს კავშირი 15 ქვეყანასა და 377 მილიონ მოქალაქეს მოიცავდა, ხოლო მას შემდეგ წევრი სახელმწიფოების რიცხვი 27-მდე, მოსახლეობა კი 450 მილიონამდე გაიზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი წევრი სახელმწიფოების მოსახლეობა სიღარიბის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ზრდის, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბოლო ორ ათწლეულში გატარებულმა სოციალურმა რეფორმებმა სიღარიბისგან 7 მილიონზე ბევრად მეტი ადამიანი იხსნა.

2024 წლის ივლისში ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა, განაცხადა, რომ ევროკავშირი, არსებობის ისტორიაში პირველად, სიღარიბის საწინააღმდეგო ერთიან სტრატეგიაზე მუშაობს, რომელიც 2026 წელს ამოქმედდება. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ აქამდე სოციალურად დაუცველი ადამიანების მხარდამჭერი პროგრამები ევროპულ სივრცეში არ არსებობდა. მაგალითად, ევროპის სოციალური ფონდი (ESF) წლების განმავლობაში მილიარდობით ევროს ხარჯავდა დასაქმების, განათლებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. 2021-2027 წლებში ESF+ გააერთიანებს არაერთ სხვა ფონდს და ჯამში სიღარიბის შესამცირებლად 88 მილიარდ ევროს დახარჯავს.

საქართველოს კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფოების მაგალითები, რომლებიც ჩვენს ქვეყანასთან უახლოეს წარსულს იზიარებენ. ასეთი ქვეყნები ცივი ომის დროს რკინის ფარდის აღმოსავლეთით, სოციალისტურ ბანაკში დარჩენილი სახელმწიფოები არიან, რომელთა ეკონომიკებმაც 1990-იანი წლების დასაწყისში, სოციალისტური ბლოკის დაშლის პარალელურად, უმძიმესი დარტყმები მიიღეს, თუმცა ევროკავშირში გაწევრებით მალევე მოახერხეს უფსკრულიდან ამოსვლა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია პოლონეთის მაგალითი, რომელიც ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდა, როცა ქვეყანა ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას იწყებდა. ეკონომიკურმა ტრანზიციამ, ეროვნულმა რეფორმებმა და ევროკავშირის მიერ ჩადებულმა ინვესტიციებმა სიღარიბის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეამცირა — თუ 1990-იანი წლების შუაში ქვეყნის მოსახლეობის 20% აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა, 2011 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 6.5%-მდე შემცირდა, დღესდღეობით კი, დაახლოებით, 5%-ს აღწევს.

ანალოგიური გზა გაიარეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა: ესტონეთმა, ლატვიამ და ლიეტუვამ, რომლებიც ჯერ კიდევ 1990 წელს, საქართველოსთან ერთად საბჭოთა კავშირის წევრები იყვნენ. 2004 წლის გაფართოების ფარგლებში ევროკავშირში გაწევრების შემდეგ, საპენსიო რეფორმებით, ევროკავშირის შრომით ბაზარში აქტიური ჩართულობითა და ეკონომიკური დახმარებით, რომელსაც ისინი ევროკავშირისგან იღებდნენ, ამ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებმა სიღარიბის მაჩვენებლების მნიშვნელოვნად შემცირება შეძლეს.

წარმატების მაგალითია სლოვაკეთის შემთხვევაც, რომელმაც ეროვნულ რეფორმებს ეფექტიანად მოარგო ევროკავშირის დაფინანსება და შექმნა მექანიზმები, რომელთაც სულ რაღაც 16 წელიწადში, 2004-დან 2020 წლამდე სიღარიბის AROPE მაჩვენებელი მოსახლეობის 30%-დან 17%-მდე შეამცირეს.დაზუსტებისთვის, AROPE არ უნდა აგვერიოს უკიდურესი სიღარიბის ათვლის საქსტატის მეთოდოლოგიაში და არ უნდა ვიფიქროთ, რომ პროცენტული მაჩვენებლით ეს სლოვაკეთში უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე საქართველოში.



!

პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში და სლოვაკეთში ევროკავშირში გაწევრების შემდეგ სიღარიბის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შემცირდა

ევროკავშირის სტანდარტებით „სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის რისკი“ რადიკალურად განსხვავდება „აბსოლუტური სიღარიბისგან“, რომელსაც ჩვენი მოსახლეობის 9.4% განიცდის.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიღარიბესთან ბრძოლის ევროპული მოდელი ეფექტიანია და ევროკავშირში გაწევრება საქართველოს ნამდვილად მისცემს საშუალებას, ამ მიმართულებით სტანდარტები მნიშვნელოვნად აამაღლოს, რაც მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების დონეზე პირდაპირ აისახება.

ცოტნე ქირია
ჟურნალისტი,
ევროპული კვლევების მაგისტრი

ანტიემიგრაციული განწყობების მიზეზები და შედეგები ევროპაში

მიგრანტების თემა ბოლო ორი ათწლეულის ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი გახდა. რა თქმა უნდა, ევროკავშირში მიმდინარე საზოგადოებრივი განწყობები, დისკუსია გავლენას ახდენს მის უახლოეს მეზობლებზე, მათ შორის, საქართველოზეც. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ საქართველოშიც ზოგჯერ პოლიტიკოსები, ანალიტიკოსები, მედია თუ უბრალოდ საზოგადოების აქტიური წევრები სხვადასხვა კონტექსტში საუბრობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეების („უცხოტომელების“) სიმრავლეზე. საინტერესოა, რომ ეს დისკუსიები, როგორც წესი, ამ საკითხზე უკვე მრავალი წლის განმავლობაში ევროპის ქვეყნებში მიმდინარე დებატების გამოძახილი და ზოგჯერ პირდაპირი ასლიც კია.

როგორია ევროკული ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ლანდშაფტი?

ევროპაში ანტი-საიმიგრაციო პოლიტიკის გამტარები ულტრამემარჯვენე ჯგუფები არიან, რომლებმაც მხარდაჭერის მოპოვება თანდათან, განსაკუთრებით ცივი ომის დასრულების შემდეგ დაიწყეს. დასავლეთში მათი გაძლიერება უკავშირდება ისეთ გლობალურ მოვლენებს, როგორებიცაა 11 სექტემბრის ტერაქტი აშშ-ში, 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი, 2015 წლის ე.წ. „მიგრანტების კრიზისი“ (ევროპულ ქვეყნებში მიგრანტების მასობრივი შედინება, რაც უმთავრესად ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომებმა, არასტაბილურობამ და აფრიკული და აზიური საზოგადოებების უკიდურესმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ გამოიწვია), კოვიდ პანდემია და სხვა. ამგვარმა მოვლენებმა განსაზღვრა ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ჯგუფების მთავარი გზავნილები და მათი მოქმედების შინაარსი, რომელიც ძირითადად შემდეგ საკითხებზე დგას: ნაციონალიზმი და იდენტობა; საპოლიციო მმართველობა; ნეოლიბერალური ეკონომიკა „ეროვნულობის“ ელფერით; ევროსკეპტიციზმი და პოლიტიკური სიმპათიები რუსეთისადმი; მედიასა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებზე ზეწოლა; კლიმატის ცვლილების უარყოფა; და რაც მთავარია - ანტი-საიმიგრაციო პოლიტიკა.

ევროპაში ამგვარი იდეებით განმსჭვალული პოპულისტური პარტიები ბოლო ათწლეულია განსაკუთრებით მოძლიერდნენ. გერმანიაში ნეონაცისტური „ალტერნატივა გერმანიისთვის“ და საფრანგეთში მარინ ლე პენის „ეროვნული ფრონტი“ მთავარ ოპოზიციურ პარტიებად იქცნენ; უნგრეთში ვიქტორ ორბანის პარტია „ფიდესი“ უკვე დიდი ხანია ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას; მემარჯვენე და კონსერვატიული კოალიციაა იტალიის ხელისუფლებაში; პოლონეთში მემარჯვენე ნაციონალისტური ძალები წლების განმავლობაში იყვნენ მთავრობაში და სულ ცოტა ხნის წინ ისევ გაიმარჯვეს საპრეზიდენტო არჩევნებში; მემარჯვენე პოპულისტები ავსტრიაშიც კვლავ ყველაზე პოპულარულ პარტიად ყალიბდებიან; ისინი მყარ პოზიციებს ინარჩუნებენ ჰოლანდიაში, ფინეთში, შვედეთში და ძალას იკრებენ სხვა ევროპულ ქვეყნებში.

რა იმალება ულტრამემარჯვენე იდეების უკან?

უდავოა, რომ ამ ჯგუფების მიერ დღის წესრიგში დაყენებული იდეები ნაწილობრივ ასახავს საზოგადოებრივ წუხილებს - უნდობლობას და გაუცხოებას პოლიტიკური კლასისადმი, გლობალური ეკონომიკური სისტემის დამანგრეველ შედეგებს, სიღარიბესა და უთანასწორობას, უსაფრთხოების გამოწვევებსა და შიშს ბუნდოვანი მომავლისადმი. თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში, ქართველ, თურქ, ალჟირელ თუ სირიელ ემიგრანტს თავის რჩენის ყველაზე ეფექტურ გზად ხშირად ევროპაში სამუშაო მიგრაცია რჩება, რადგან საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს უმუშევარი ადამიანებისთვის ღირსეულ დასაქმებას. ევროპაში ჩასულ ემიგრანტს, რომელიც ძირითადად მომსახურების სფეროში (მაგალითად საშინაო, სახლის სამუშაოები ემიგრანტი ქალებისთვის, საკურიერო სამუშაოები მამაკაცებისთვის), ან მძიმე ფიზიკურ შრომაშია ჩაბმული (მაგალითად, მშენებლობაზე ან რომელიმე ქარხანაში მუშაობა) ევროპაში ხვდება უკეთესი ხელფასი და დასაქმების მეტი შესაძლებლობა. თუმცა, ის პირობები, რაც ევროპაში ჩასული ემიგრანტისთვის ცხოვრების გაუმჯობესება ნიშნავს, ადგილობრივი ევროპელისთვის გაუარესებული ცხოვრების სტანდარტია.

> **მამამ მითხრა, რომ ემიგრანტებს ადგილობრივ ფრანგებზე ორჯერ მეტი უნდა გვეშრომა, რათა მათსავით დაფასებული ვყოფილიყავით**

ევროპის ეკონომიკის ნაწილობრივმა დეინდუსტრიალიზაციამ, სამუშაო ადგილების ევროპის გარეთ, ძირითადად, აზიაში გადატანამ, ევროპაშიც წარმოშვა უმუშევრების გარკვეული რაოდენობა. ზოგიერთი მედია საშუალების თუ პოლიტიკური მოძრაობის მიერ ტერორიზმის ისლამთან გაიგივებამ, კიდევ უფრო გააღვივა შიში და აგრესია ევროპაში სამუშაოს საძიებლად ჩასული ემიგრანტების, განსაკუთრებით მუსლიმების მიმართ. თუმცა, ისმის კითხვა: არის კი ულტრამემარჯვენე პარტიების მიერ დაგეგმილი ან ზოგ შემთხვევაში უკვე სისრულეში მოყვანილი იდეები ობიექტურად არსებული ეკონომიკური ან თუნდაც უსაფრთხოების პრობლემების მოგვარების გზა?

ეს რომ ასე არაა, კარგად ჩანს მემარჯვენე ანტი-საიმიგრაციო პოლიტიკის მაგალითზე. ევროპულმა პრაქტიკამ ნათლად აჩვენა, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ამგვარი პოლიტიკა:

X **ავტორიტარული და ანტი-დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება** - ანტი-საიმიგრაციო რიტორიკა ხშირად შემზადებაა ავტორიტარული მმართველობისთვის. ეს გამოიხატება ისეთ ზომებში, როგორებიცაა: პოლიციისთვის გადაჭარბებული უფლებამოსილებების მინიჭება; უსაფრთხოების სამსახურებისთვის ადამიანებზე თვალთვალის შესაძლებლობების გამარტივება; „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკები; გაზრდილი საპატიმრო სასჯელები და უფრო და უფრო მეტი ადამიანის ციხეში გამოკეტვა. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და მიგრანტების მიერ დანაშაულის ჩადენის აღკვეთას ემსახურება, თუმცა, რეალურად, მას ზოგადად მოსახლეობის ცხოვრების კონტროლის რეგულირებისა და კრიტიკული საზოგადოებრივი აზრის მოთოკვის მიზანი აქვს.

X **ანტი-სოციალური პოლიტიკის შენიღბვა** - ულტრამემარჯვენე პარტიები ეკონომიკურ პრობლემებს ხშირად მიგრანტებს აბრალებენ, თითქოს სახელმწიფოები ვეღარ სწვდებიან „უმუშევარი უცხოელების“ ხარჯზე გაზრდილი მოსახლეობის საჭიროებებს. ისინი, როგორც წესი, სახელმწიფო სუბსიდიების, პენსიებისა და სამუშაო ადგილების გაზრდის მნიშვნელობაზე აპელირებენ. თუმცა, ყველა ევროპულ ქვეყანასა და აშშ-ში ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათი რეალური გადაწყვეტილებები ეკონომიკის სფეროში დიამეტრულად განსხვავებულია და გამოიხატება დერეგულირების პოლიტიკაში, გადასახადების შემცირებაში, ჯანდაცვისა და განათლების სერვისების დაფინანსების შეკვეცაში, საცხოვრებელ სახლზე ხელმისაწვდომობის გაუარესებაში. ანტიემიგრაციული ულტრამემარჯვენე ძალების მმართველობის პრაქტიკიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უმეტესად მსხვილი ბიზნესის ინტერესებთანაა თანხვედრაში და არათუ ვერ ამცირებს სიღარიბესა და სოციალურ უთანასწორობას, არამედ პირიქით, ხელს უწყობს უთანასწორო სტატუს-კვოს შენარჩუნებას.

X **საზოგადოების გახლეჩა და დესტაბილიზაცია** - მიგრანტების საწინააღმდეგო დისკუსიით პოლიტიკის გაჟღენთა კვებავს საზოგადოების წევრებს შორის დაპირისპირებასა და შუღლს. ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ჯგუფები მიგრანტებისგან მტრის ხატს ქმნიან, აძლიერებენ რასობრივ წარმოდგენებს, რაც საბოლოოდ მუდმივ კონფლიქტებში, დაძაბულობაში და ექსტრემისტულ დანაშაულებში ითარგმნება. ყველაზე საგანგაშო აქ ისაა, რომ ასეთი დამოკიდებულება უცხოს მიმართ ტრადიციულად, კულტურულად კეთილგანწყობილი საზოგადოებების ღირებულებების ჩამოშლის წინაპირობაც შეიძლება გახდეს. ქართული საზოგადოებაც, რომელიც ისტორიულად და

კულტურულად ტოლერანტობის გამოცდილებით საზრდოობს, რომელსაც არაერთხელ შეუფარებია მეზობელი სახელმწიფოებიდან ომებს, სტიქიურ უბედურებებს თუ სხვა განსაცდელს გამორიდებული ადამიანები, ამ მნიშვნელოვანი ღირებულების დაკარგვის რისკის პირისპირ შეიძლება აღმოჩნდეს. აქვე უნდა ითქვას, რომ „ანტი-საიმიგრაციო ისტერია“ ხშირად იკვებება პოპულარული მედიების ორმაგი სტანდარტებითა და მიზანმიმართული სტრატეგიებითაც. მაგალითად, 2023 წელს, გერმანიაში ძალადობრივ დანაშაულებზე დაწყებულ გამოძიებაში ეჭვმიტანილთა დაახლოებით 67% გერმანიის მოქალაქე იყო, 33% კი - უცხოელი. თუმცა, მედიის მიერ გაშუქებული ამ ტიპის დანაშაულებიდან, 84% მიგრანტების შემთხვევებს დაეთმო. ამით შეიქმნა განწყობა, რომ მიგრანტები პასუხისმგებელნი იყვნენ 5-ჯერ მეტ დანაშაულზე, როცა სინამდვილეში, მათი წილი ორჯერ ნაკლები იყო გერმანიის მოქალაქეებთან შედარებით.

X **არაფორმალური და დაბალანაზღაურებადი შრომის ნორმალიზება** - მიგრანტები ასრულებენ ყველაზე სახიფათო და დაბალანაზღაურებად სამუშაოს, რაც თითოეულმა ქართველმაც კარგად იცის, ვისაც ერთი ნაცნობი მაინც ჰყავს ემიგრაციაში. იმის ნაცვლად, რომ მემარჯვენე პოლიტიკურმა ძალებმა შრომის ბაზრის გაჯანსაღებაზე იზრუნონ, ისინი სრულიად შეგნებულად იღებენ ემიგრანტებს არასტაბილური, დაბალანაზღაურებადი და ფიზიკურად მძიმე/სახიფათო შრომის შესასრულებლად, ხოლო ადგილობრივ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ უკმაყოფილებას დეზინფორმაციის საშუალებით ისევ ემიგრანტებისკენ, როგორც „განტევების ვაცისკენ“ მიმართავენ.

რას გვასწავლის ეს გამოცდილება?

ანტიემიგრანტული განწყობების მქონე ულტრამემარჯვენე მოძრაობები ხშირად იმეორებენ, რომ ოჯახური ღირებულებებისთვის იბრძვიან, თუმცა, მათ მიერ გატარებული ანტი-სოციალური პოლიტიკები ოჯახის წევრებს ერთმანეთისგან ფიზიკურად აშორებს, ახალგაზრდებს და ახლად შექმნილ ოჯახებს სახლის შეძენის და ღირსეული მუშაობის შესაძლებლობებს უსპობს, რასაც საბოლოოდ არაფერი აქვს საერთო ოჯახებზე ზრუნვასთან.

ისინი ხშირად აპელირებენ ეროვნულ იდენტობაზე და გლობალიზაციის ნეგატიურ შედეგებზე. თუმცა ვერც ერთი ადამიანი, და ვერც მთლიანად საზოგადოება, იზოლირებულად, ჩაკეტილი ვერ იარსებებს. „არც ერთი ადამიანი არ არის კუნძული, აღსავსე მარტოოდენ საკუთარი თავით“ - როგორც ინგლისელი პოეტი ჯონ დონი წერდა. საერთო ბედქვეშ ყოფნის ეს ზოგადსაკაცობრიო განცდა ნაცნობია ქართული კულტურისთვისაც. „ჩვენ ვართ ყველანი ერთი ხვედრით გადამბულები, არავისია არავისზე უმსუბუქესი“ - ქართველი პოეტის გივი გეგეჭკორის ეს ფრაზა შეიძლება იყოს როგორც იტალიაში ან საბერძნეთში მძიმე საოჯახო სამუშაოებში ჩაბმული ქართველი ემიგრანტი ქალის, ასევე საქართველოში კურიერად თუ ტაქსისტად მომუშავე ინდოელი სტუდენტის ცხოვრებისა და შრომის საერთოობის და მსგავსების გამოძახილი.

> **ზინედინ ზიდანი - ალჟირული წარმოშობის, ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი**

თორნიკე გერლიანი
იურისტი,
მმართველობის და საჯარო პოლიტიკის სპეციალისტი

საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის პრობლემები ევროკავშირსა და საქართველოში

ქალაქის ჩაბეტონება, მწვანე სივრცეების განადგურება, მიჯრით აშენებული შენობები - ხშირად უხარისხოდ. ამდენი ახალი საცხოვრებელი შენობა და მაინც, საქართველოში დიდი საბინაო კრიზისია.

საქართველოში უცხოელებზე გაყიდული ბინების 41%-ზე მეტი რუსებმა შეიძინეს (01.2022 – 04. 2023)

საზოგადოებას აწუხებს ლოგიკური კითხვა - ვისთვის შენდება ეს ბინები? ვისაც რეალურად სჭირდება, მისთვის ხელმიუწვდომელია. სამაგიეროდ, სარფიანი ბიზნესია - ჯერ ეს ერთი რომ არ ვიცით თუ რამხელა ფასნამატით იყიდება კვადრატული, რომ აღარაფერი ითქვას იმ კორუფციულ სქემებზე რომლებზეც ყველას გვსმენია. და ვინ ყიდულობს? ძირითადად ის ვისაც უკვე აქვს რამდენიმე, ან ისინი ვინც ბინის შეძენის აუცილებლობის გამო საშვილიშვილო ვალი დაიდეს და უცხოელები - ძირითადად რუსები. მხოლოდ 2022 წლის იანვრიდან 2023 წლის აპრილამდე რუსეთის მოქალაქეებმა 8 249 ბინა შეიძინეს, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ შეძენილი საცხოვრებელი ბინების 41%-ზე მეტია.

საბინაო ფონდი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ ხელმისაწვდომობა მცირდება - უფრო სწორედ, ფასები იზრდება, ხოლო ჩვენი შემოსავალი არა. 2025 წელს, საშუალოდ, საცხოვრებელი ბინის ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება 1,266 $ გახდა, ანუ დაახლოებით 3263 ლარი. მედიანურმა ხელფასმა 2023 წელს სულ რაღაც, 1238 ლარი შეადგინა. გამოდის, რომ საშუალოდ, თბილისში, ბინის ერთი კვადრატის ფასი სამჯერ აღემატება მოსახლეობის ყოველთვიურ შემოსავალს. აღარაფერს ვამბობ სოციალურად დაუცველებზე, დევნილებსა თუ იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ ან გადატვირთულ შენობებსა და ბინებში ცხოვრობენ. საქართველოში პრობლემა მზარდია, მოსახლეობა ვალებით სავსეა, უძრავი ქონების ბაზარი ქაოსურია, ხოლო სახელმწიფო თამაშგარე სიტუაციაშია.

*http://bit.ly/4ldlYNu

საბინაო კრიზისი საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ დაიწყო, როცა ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფო, უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური კატასტროფის მორევში გადაეშვა. ქვეყანაში ბაზისური საკვების დეფიციტი იყო, ხოლო ფიზიკური უსაფრთხოება და უბრალოდ ცოცხლად გადარჩენა პრიორიტეტი. ამ კონტექსტში, სახელმწიფომ სრულად დაივიწყა საბინაო და ურბანული პოლიტიკა.

თბილისში 1 კვ.მ-ის უძრავი ქონების ფასი 3X მეტია მოსახლეობის 1 თვის ხელფასზე

მაგრამ იმ პერიოდში, ერთი დიდი რეფორმაც გატარდა - საბინაო ფონდის პრივატიზაცია. პრივატიზაცია შეეხო კომუნალურ საცხოვრებლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ იქ მაცხოვრებლების უმეტესობა საბჭოთა კავშირის პერიოდში ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის მიმღებთა რიგში იყო, ხოლო კომუნალური საცხოვრებელი მათ დროებით მფლობელობაში არსებულ ფართს წარმოადგენდა. აფხაზეთის ომის შემდეგ 300 ათასი დევნილის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საჭიროებამ კიდევ უფრო დაამძიმა საბინაო პრობლემა.

ვარდების რევოლუციამ საბინაო სექტორში დიდი ცვლილებები გამოიწვია. მთავრობამ, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გაცხადებულად დაიწყო დერეგულირების პოლიტიკა. ქვეყანა უკონტროლო სამშენებლო ბუმმა მოიცვა, რომელსაც თან სდევდა მოსახლეობის კრედიტებით დაკაბალება და ფინანსური პირამიდები.

2008 წელს გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულმა საომარმა მოქმედებებმა სრულად დაანგრია საპნის ბუშტივით გაბერილი სამშენებლო სექტორი - ათასობით ადამიანი ნაყიდი ჰაერის ამარად დარჩა.

2008-2009 წლებიდან უკვე 16-17 წელი გავიდა. მიუხედავად ამისა, უძრავი ქონების სექტორში ყველაფერი კვლავ ქაოსურად გრძელდება. სახელმწიფო არ იჩენს შესაბამის ყურადღებას საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და კრიზისიდან-კრიზისამდე აცხოვრებს მას. ჯერ იყო და კორონა ვირუსის გავრცელების წლებში, ბინებზე ფასები დავარდა, ქირაობა კი თითქმის „უფასო“ გახდა. შემდეგ, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მალევე, უხვშემოსავლიანი რუსების მასობრივი მიგრაციის გამო, უკიდურესად გაიზარდა ქირაზე მოთხოვნა, რამაც ფასიც გაზარდა, თანაც იმდენად, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი მას უბრალოდ ვერ იხდიდა. სწორად ამ დროს, საზოგადოების ნაწილმა, უნებლიედ დასვა კითხვა - რატომ საზღვრავს ქირის ფასს მხოლოდ ბინის მესაკუთრე? რატომ არ ერევა სახელმწიფო უძრავი ქონების სექტორში? ეს აბსოლუტურად რაციონალური კითხვებია. ბოლოს და ბოლოს, საცხოვრებელი ის აუცილებელი პირობაა რომელიც ადამიანს არსებობისთვის სჭირდება. ამ კითხვებს პასუხი ევროპაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში გასცეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღებული გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 25-ე მუხლი, პირდაპირ უსვამს ხაზს, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს საცხოვრებელი. კიდევ უფრო დეტალურია ევროპის სოციალური ქარტია, რომელსაც ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ მოაწერა ხელი და აღიარა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: ადეკვატური საცხოვრებელი, უსახლკარობის პრევენცია და ხელმისაწვდომი ფასები.

ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ აქტიურად უნდა აწარმოოს საბინაო პოლიტიკა და დააკმაყოფილოს თითოეული ადამიანის ბაზისური მოთხოვნა და დაიცვას ისინი რისკებისგან. მაგალითად გერმანიაში, მესაკუთრეს არ აქვს უფლება 3 წლის განმავლობაში, ბინის ქირა 20%-ზე მეტით გააძვიროს, თავის მხრივ ახალი ქირის კონტრაქტით ქირა არ უნდა აჭარბებდეს იმავე რაიონში არსებული საშუალო ქირის 10%-ზე მეტს.

ნიდერლანდების კანონმდებლობით, ქირის ფასი ქულებით განისაზღვრება. რაც უფრო მაღალია ბინის ხარისხი, მდებარეობა, ფართობი, სერვისები, ენერგო ეფექტურობა და ა.შ. მით მეტი ქულა აქვს. საქართველოში რომ გერმანიის ან ნიდერლანდების მსგავს კანონებს ემოქმედა, რუსების მიგრაცია საზოგადოებაზე ასეთ ძლიერ გავლენას ვერ მოახდენდა, რადგან გამქირავებელი ბოროტად ვერ ისარგებლებდა არსებული სიტუაციით და უსახლკაროდ არ დატოვებდა ადამიანებს.

თავის მხრივ, სახელმწიფო არამხოლოდ განსაზღვრავს ქირავნობის ფასებს, არამედ აწარმოებს სოციალურ საცხოვრებლებს. ეს ევროპაში სახელმწიფოს ან მუნიციპალური დონეზე მხარდაჭერილი საცხოვრებელი ბინებია, რომლებიც განკუთვნილია დაბალშემოსავლიანი, მოწყვლადი ან სოციალურად არასტაბილური ჯგუფებისთვის. ნიდერლანდებში ბინების 30% სოციალურია. საფრანგეთში 17%, ხოლო საქართველოში? საბჭოთა კავშირის დროს, მშენებლობების აბსოლუტური ნაწილი, ან საუწყებო, ანაც კოოპერატიული იყო. ორივე შემთხვევაში, სახელმწიფო ან სრულად, ან მშენებლობის ფასის უდიდეს ნაწილს ფარავდა (60-70%-ს) და გრძელვადიანი ქირავნობის პრინციპით გადასცემდა მესაკუთრეს. მსგავსი პრაქტიკა გამოიყენებოდა თითქმის მთელ ევროპაშიც. იგივე გერმანიამ (როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ), მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი ინვესტიცია განახორციელა საბინაო ფონდში. 1950-1970-იან წლებში, მშენებლობების უდიდესი ნაწილი სოციალური იყო - სახელმწიფოს საკუთრება, რომელიც გრძელვადიანი ქირავნობით გადაეცემოდა მოქალაქეს. მაგალითად ფინეთში, 1971 წლისთვის, ბინების 55.9% სახელმწიფოს მიერ იყო აშენებული, ხოლო 1968-85 წლამდე, კი საერთო საბინაო ფონდის 41.6% კვლავ რჩებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში. ბინა მოსახლეობას გადაეცემოდა ხელმისაწვდომი გრძელვადიანი ქირის პრინციპით. მსგავსი მიდგომები არსებობდა და არსებობს ევროპული ქვეყნების დიდ ნაწილში.

ევროპაში დიდი ყურადღება ექცევა საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობას. ის მიჩნეულია ადამიანის უფლებად, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ამ უფლების პრაქტიკული გარდასახვა და აღსრულება. ზემოთ მოყვანილი მაგალითები, ის უმცირესია, რაც გერმანიაში, ნიდერლანდებსა თუ სხვა ქვეყნებში არსებობს. ეს უმცირესიც კი, უზარმაზარი ჩანს ქართული პერსპექტივით. საქართველოში, ათასობით ოჯახია მევახშეებისა და ბანკების მიერ უკანასკნელი საცხოვრებლიდან გამოსახლებული. საცხოვრებლის დანაკლისს განიცდიან, მათ შორის, სოციალურად დაუცველები, გავალიანებული ადამიანები, მრავალშვილიანი ოჯახები, ახლად დაქორწინებული წყვილები, სტუდენტები და დევნილები, რომელთა გამოსახლების დამამცირებელ პროცესებს წლების განმავლობაში სამთავრობო მედიები დიდი ზარ-ზეიმითა და სიამაყით გვამცნობდა ხოლმე: „ივერიის“ განთავისუფლება... ბათუმში, „მესხეთიდან“ სპეცრაზმის ძალით ადამიანების გამოსახლება და მრავალი სხვა.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: ადეკვატური საცხოვრებელი, უსახლ-კარობის პრევენცია და ხელმისაწვდომი ფასები.

(ევროპის სოციალური ქარტია)

ევროპაში, დიდი ყურადღება ექცევა საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობას. ის მიჩნეულია ადამიანის უფლებად, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ამ უფლების პრაქტიკული გარდასახვა და აღსრულება. სწორედ ამიტომ, საცხოვრებლის საკითხი ევროპაში არა ადამიანების ინდივიდუალური პრობლემა, ან უძრავი ქონების ბაზრის პროდუქტი, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამოწვევაა, რომლის გადაწყვეტაშიც სახელმწიფოც აქტიურად მონაწილეობს.

გაბრიელი ჩუბინიძე
ისტორიკოსი,
თანამედროვე საქართველოს ისტორიის მკვლევარი